

„დროების“ რედაქცია—სანახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარად.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ.; პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში სტრიქო-
ნებისა ითვლება მათგან დაქვეითდება—გვერდის კა-
ლოზზედ.

თუ საქართვებ მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოა-
ლებს დასაბუთებლად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუთებელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბუთებს აცხადებს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ვისაც დღემდე არ შემოუტანია ხვედრი ფასი ვა- ხეთისა, რედაქცია სთხოვს დაჩქარონ ფულის ვა- მოგზავნა.

(5—2)

პართული თეატრი
კვირას, აპრილის 21-ს

ქართული დრამატული დასისთვის წარ-
მოდგენილი იქნება:

I
„**ქინძო**“

პომეღია სამს მოქმედებად, თხზ.
თ. აკაკი წერეთლისა

II
ანელს ოთახი

მოღვეილი 1 მოქმედებად.

მანაწილეობას მიიღებენ: ქაღ. საფა-
რაჯი-აბაშიძისა, ანდრეასი-შვილისა, ტა-
რიელავისა, და ბბ. აწუურელი, მესხი,
თახსან-მოაუზავი, მოსკევი, მესხიევი და
სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

**თბილისის გუბარნიის კათილზო-
ბილთ წინამძღოლი**

უძიარნილესად სთხოვს თბილისის გუ-
ბერნიის თავად-აზნაურთა, რათა მოხმანდენ
ამა აპრილის 21-ს კვირას, დღის 11
საათზედ არა ჩვეულებრივ საგუბერნიო
თავად-აზნაურთა კრებაზე, რომელიც მოს-
დება წინამძღოლის სადგურში, მისიადო-
ვის ქუჩაზედ № 28-ს, იმპერატრიცა
ქატერინეს II-ისაგან ბოქმულის გრ-
მოცის წასაკითხავად. შემდეგ სიონის
საკათედრო საბოროლოში თავად-აზნაურთა
დაქსწრებაზე განსაკუთრებულ იმ-
პერატრიცა ქატერინეს მეფისა მანაწილე-
ზე და აგრეთვე მანაწილესად დეკრეტ-
ლობისათვის ხელმწიფე იმპერატორის
პლექსანდრე პლექსანდრეს ძისა, იმპე-
რატრიცისა და სრულიად სახლობის
მათისა.

(3—2)

წერილი პოლიტიკაზე

თბილისი, აპრილის 20-ს.

შველათრის შემძლე და ყველათრის
მცოდნე მეროპის პოლიტიკაში ეხლა
ბისმარკია. მოთხმეტის წლის განმავ-
ლობაში შრანკო-პრუსიის ომის შემ-
დეგ ბერმანიამ დაიჭირა უპირველესი
ადგილი სახელმწიფოთა შორის და
ბისმარკი თითქმის დიქტატორულად
განაგებს ქვეყნის ბედ-იღბალს. ამ
თოთხმეტის წლის წინად პრუსიამ
შეისრულა თავისი ისტორიული მო-

ვალეობა, მიღწია თავის წადილს:
მან შეაერთა, შეაკავშირა განცალკე-
ვებული ბერმანიელი სახელმწიფოები,
მოუსპო მათ ყოველი პოლიტიკური
მნიშვნელობა და შექმნა დიდებული
ძალა-მოსილი ბერმანიის იმპერია
თავის მეთაურობით. მართლა პოლი-
ტიკური, ერთობა ეროვნული,
ერთობა ზნეობრივი—იყო და არის
სურვილი, მეცადინეობის საგანი ბის-
მარკის პოლიტიკისა; ეს არის დევიზი
თვალსაჩინოდ აღბეჭდილი იმ დრო-
შაზე, რომელიც ხელთ უწყობს ბის-
მარკს და რომელიც ეგეთ სულიერს
სიმძლავრეს აძლევს მთელს გერმან-
იის ნაციას.

პოლიტიკაში პატიოსანს სიტყვას,
მეგობრობას, ნათესაობას და სხვა ამ
გვარ გრძობებს, რომელიც დასა-
ფასებელნი არიან კერძო ცხოვრება-
ში,—ადგილი არა აქვს: მხოლოდ
თავიანთ ერის და სახელმწიფოს სარ-
გებლობას ცდილობენ დიპლომატები
და ამ საგნისათვის არავითარ საშუა-
ლებას არ დაზოგვენ ხოლმე. სახელ-
მწიფოთა კავშირებს, მეფეთა მეგობ-
რობას მხოლოდ იმ წუთამდე აქვს
ძალა, სანამ ჯერ საქმე სარგებლობა-
ზე არ მივარდნილა. სარგებლობის
ანგარიში არის მმართველი მთელის
ქვეყნისა. არასოდეს, ვგონებთ, ნამ-
დელი მაკიაველიზმი არ ყოფილა
ისე მძლავრი პოლიტიკაში, როგორც
აწინდელ ხალხთა შორის ურთიერ-
ობაში. ბისმარკს, რომელმაც ჩაჰყა-
რა მკვიდრი საძირკველი ბერმანიის
ერთობისა, ნემცის ერის ერთ-სხეუ-
ლობისა, ჯერ კიდევ, როგორცა სხანს
მის მოქმედებიდან, არ შეუსრულებია
თავისი საქმე. ის ცდილობს ხელთ
იგდოს პროვინციები, რომელიც
ნემცის ხალხით არიან დასახლებულ-
ნი. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ
ბისმარკის საშუალებით და ხელის
შეწყობით პესტრიამ დაიჭირა კარგა
დიდი მარა ბალკანიის ნახევარ კუნ-
ძულზე—ბოსნია და ჰერცეგოვინა.
ასე რომ ეხლა, მთელ პესტრო-ვენგრის
შეერთებულ იმპერიაში ოც-და-ჩვიდ-
მეტ მილიონ მცხოვრებ შორის,
თვრამეტი მილიონი სლავიანია. ძა-
ლიან მაგარი საფუძველი უნდა ჰქონ-
დეს იმ აზრს, რომ ბისმარკის სურ-
ვილია, პესტრია სლავიანურ სა-
ხელმწიფოდ შექმნას. რა თქმა უნ-
და, ეს ამბავი ძირეულად გამოსცე-

ლის ბალკანის სახელმწიფოთა და
ხალხთა მდგომარეობას და მისცემს
სულ სხვა მიმართულებას ესრედ-წო-
დებულს „აღმოსავლეთის საქმეს“.
რადგან ამ საქმეში თითქმის მთელს
მეროპას წილი უძევს, უეჭვე-
ლია, ბისმარკის სურვილი გამოიწვევს
უკმაყოფილებას, შესძენს მრავალს
მტერს ბერმანიას. ამის გამო ახლავე
და ამ თავითვე ჰსურს ბისმარკს შეა-
სუსტოს ბერმანიის მეზობლები, რომ
მომავალში არაფერს აღმოუჩინოს მავ-
ნე წინააღმდეგობა და მეტოქეობა. არა
უსაფუძვლოა, მაშასადამე, ის გავრ-
ცელებული აზრი, რომ ამ ბოლოს
დროს მომხდარის შფოთის მიზეზი
ინგლისისა და რუსეთის შუა ბისმარ-
კიაო, რომელსაც ჰსურს შეტაკება
მოახდინოს, ორნივე დააზიანოს,
შეასუსტოს, და ამ სახით გაიადვილოს
თავისი წადილის აღსრულება. მართ-
ლაც: ბოლოს დროს უმთავრეს მერ-
ოპის სახელმწიფოებმა განსაკუთრე-
ბულის გულს-მოდგინებით მოჰკიდეს
ხელი კოლონიალურს პოლიტიკას.
ინგლისს, რომელსაც ბადალი
არა ჰყავდა ამ გვარ პოლიტიკაში,
აღმოუჩინდა მეტოქედ საფრანგეთი,
იტალია და ბერმანია. რამოდენიმე
თვის წინად დიდი უკმაყოფილება მო-
უვიდა ინგლისს და ბერმანიას აფრი-
კაში—ტონგოს მარჯის შესახებ. მაშინ
ბისმარკმა აშკარად აღიარა, რომ
დღემდე ბერმანია კოლონიების შე-
ძენას უნდა შეუდგეს. ამითი იქმნა
გაყვანილი ახალი ხაზი ბერმანიის
პოლიტიკაში, თუმცა ინგლისელ სა-
ზოგადოებას არა სასიამოვნოდ აღმო-
უჩნდა ეს ამბავი, მაგრამ ბისმარკმა
მინც თავისი არ დაიშალა და კი-
დეც გამარჯვებული გამოვიდა ამ და-
ვიდამ, ასე რომ თითქმის ბოდიში
მოიხადეს ინგლისელ დიპლომატებ-
მა ბერმანიის მმართველობის წინა-
შე.—მაშასადამე ბერმანიისათვის პირ-
დაპირი ანგარიშია, სსჯა დაფარული
აზრები რომ არა ჰქონდეს იმას, ინგ-
ლისი ომში გააბას და არაფერს ეყო-
ლოს სხვა-და-სხვა ოკეანებში კო-
ლონიების შეძენის მოწინააღმდეგე-
მრთის სიტყვით, ბისმარკი ორს კურ-
დღელსა ჰქლავს ერთის სროლით,
თუ კი თავისი იმედები არ გაუტრუფ-
და: ცდილობს სხვა-და-სხვა დედა-მი-
წის პუნქტებზე მაგრად ფეხი მოიდგას
და ამასთანავე მოახლოვოს „აღმოსავ-
ლეთის საქმის“ გადაწყვეტა, რომლის
შედეგიდან მთელის ნემცის ერის
შეერთებას და პოლიტიკურად გაერთ-
ხორცებას მოელოს.

ამ ოცდა ხუთის წლის განმავლო-
ბაში თავადს ბისმარკს გარეგან პო-
ლიტიკაში თითქმის არც ერთი განზ-

რახეა არ გასცრუებია, არც ერთი
თვალსაჩინო შეცდომა არ მოსვლია.
სხადია, რომ ბისმარკს რაიმე დაფარუ-
ლი აზრი და განსაზღვრული პლანი
აქვს, რუსეთისა და ინგლისის შეტაკე-
ბისაგან რაიმე სარგებლობას მოელოს,
და როგორც გერმანიულ გაზეთებიდან
სჩანს, ბერმანიას ომი უნდა. თუმცა
იგი ურჩევს მსმალეთს, არც ერთ მებრ-
ძოლთა მხარე არ დაიჭიროს, მაგრამ
ეს მხოლოდ ჩვეულებრივი მანევრი
არის, რომელსაც არც რუსეთისათვის
და არც ინგლისისათვის არავითარი
მნიშვნელობა არა აქვს, სანამ ჯერ
კიდე ომი არ გამოცხადებულა.—პირ-
ველ თოფის გავარდნისათანავე სულ
გამოიცილებს ის თავდარიგი, რომე-
ლიც დაწყობილია ომის გამოცხადე-
ბამდე, ასე რომ ბერმანიის და პესტ-
რიის ვითომ-და მეცადინეობას იმის შე-
სახებ, რომ მსმალეთმა არ მიიღოს
მონაწილეობა ბრძოლაში, არავითარ-
ი მნიშვნელობა არა აქვს.

შინაური ქაიზნიკა

ბ. რაფიელ ჰაზიბეს, რომე-
ლიც სარკინის-გზო სასწავლებელში
მასწავლებლად არის, გაუყვებია რამ-
დენიმე გასანიავებელი მაშინა და ერ-
თი მათგანი წარმოუდგენია კიდეც სა-
მეურნეო საზოგადოებაში. მალე ამ
მაშინის გამოცდას აპირობენ და თუ
გამოდგა, უეჭველია, დიდს შეღავათს
მისცემს ჩვენს სამეურნეო წარმოებას,
რადგან ჩვენშივე გაკეთებული მაშინა
ბევრად უფრო იაფად ელირება სხვა
ქვეყნებიდან დაბარებულზე. ძარგი იქ-
ნება რომ ეს მაშინა იმ დროს გამოს-
ცადონ, როცა მთელი თავდაზნაუ-
რობა თბილისში იქნება თავ-მოყრი-
ლი მომავალ კრებების გამო.

სამხრეთ მსეთიდან გვატყო-
ბინებენ: „ჩხუბი და კაცის-კვლა მა-
მულის გულისათვის ჩვენში საზოგა-
დო მოვლენად ჩაითვლება; ამ ცოტას
ხანში სოფელ სნეკეში ერთმა ოსმა
მოჰკლა თავის სახლი-კაცი პატარა
ნაჭერი მიწის გულისათვის, რომელ-
საც იგი იჩემებდა.“

იქილამე გვეწერენ: არაყის სმას
გვიშლიან, ალბად იმიტომ, რომ მთავ-
რობასა ჰსურს ჩვენი ეკონომიური მდგო-
მარეობა გააუმჯობესოს, მაგრამ „აქ-
ციზნი ჩინოვნიკები“ ჩვენ, ბედკრულ
ოსებს, ჰურჭელსაც გვიმტვრევენ. ალ-
ბად ჩინოვნიკებიც მეტის-მეტად ზრუ-
ნავენ ჩვენს ეკონომიზზე!..

ბუმინ-წინ ჩამოვიდა ქალაქში
ტაინი-სოფეტნიკი ბალკინ-პრავსკი რუ-

სეთის საპრობილეების უფროსი და შეუდგა კიდევ ძალაქის ციხეების და თვალთვალს.

ალექსანდროვის ბაღის ზევით ნაწილში მუზეუმის (Храмъ Славы) შენების საქმე უკვე გადაწყვეტილია, როგორც აღმოგვცეს. ხაზინას ამ საქმისათვის შეუწირავს კიდევ 160 ათასი მანათი. საკვირველია ჩვენი ძალაქის საბჭოს მოქმედება. ალექსანდროვის ბაღი ერთად ერთი ალაგია შუაგულს ქალაქში, სადაც სულს იბრუნებენ ძალაქის მცხოვრებნი. მართალია, ბაღი ხაზინას ეკუთვნის, მაგრამ საბჭოს განა არ შეეძლო ხაზინისაგან გამოთხოვილი ღალა ეძლია ხაზინისათვის და მცხოვრებლებისათვის არ მოესპო მცირეც არის სუფთა ჰაერით სუნთქვა.

„მწყემსის“ 8 №-ში ვკითხულობთ, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა კრებას დაეპირებოდა გარდაწყვიტეს, ის 50000 მანათი, რომელიც ქუთაისში სემინარიის გასასწავლად იყო გადადებული, უკანკე დაუბრუნდეს სამღვდელთა კრებას.

„მწყემსშივე“ ვკითხულობთ: რა უნდა გავაკეთოთ საეკლესიო გაღობის ნაკლებად გადადების საქმე ძლიერ გარდა მიდის. ქართული გაღობის აღმადგინებელმა კომიტეტმა აღიწერა გამოჩენილი იმერეთ-გურიაში მგაღობულნი: ბ.ბ. ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭავჭავაძე, ნიკოლოზ მუხომბაძე, მთავარ-დიაკონი რ. ხუნდაძე და ი. წერეთელი. ამათში ჭავჭავაძე, ხუნდაძე და წერეთელი მუდამ იყოფიან ქუთაისში და მათი გაღობა გადააქვს ნაკლებს ბ. ქორიძეს. ბ.ბ. დუმბაძე და მუხომბაძე დრო-გამოშვებით ამოწმებენ მათს ნამუშევარს.

„ძველები“ გვაცნობენ, რომ ამ დღეებში თბილისის აკლმატიზაციურს ბაღში გაუმართავს სახლი, სადაც ასწავლიან სამღვდელს მოკლას აბრეშუმის ჭიისას. მსურველთ შეუძლიანთ სახლს, თუ როგორ ჰქვამდებიან და როგორ უკლანთ აბრეშუმის ჭიისას.

იგივე ვაზეთი ამბობს: თბილისის კომერციული ბანკის სამმართველო ფიქრობს—იმუშადგომდეს იუნანსთა სამინისტროს წინაშე, რომ მას მიეცეს ნება კომერციული ბანკის განყოფილებათა გასწავლისა და ბათუმში.

დავა შუა აზიაში

◆◆ თან-და-თან ცხარდება საქმე... რუსულმა ვაჭრებმა შესამჩნევად დასწიეს კილო, მტყობა ლონდონში გადაწყვეტილი კიდევ, ამბობს ერთი რუსული ვაჭარი, რომ რუსეთთან მგობრულად საქმის გათავება შეუძლებელი საქმეაო. სენ-ჰემის კაბინეტს, ეტყობა, არა მხოლოდ თავე დაანებოს იმ მოთხოვნით, რომელთა შესრულება რუსეთს არ შეუძლიან არას გზი-

თაო. ჩვენ ხომ არ დავიწყებთ პირველად შეიარაღება, ჩვენ ხომ არ დავმუქრებთ ინგლისსაო. როდესაც ინგლისის სამხარო შეიარაღება და მუქარა ვეღარ მოვიტინეთ, როდესაც ინდოეთის მმართველობისა და ინგლისის სამხედრო აგენტების მოქმედებამ იქამდის მიიყვანა ავლანელთ სითაყნებო, რომ რუსეთი იძულებული შეიქმნა „კუკუა ესწავლებინა“ თავისულ ავლანელთათვის, რადგან უამისოდ რუსეთის სახელსა და გავლენას შუა აზიაში შეფერხება მოელოდა,— ლონდონში ეს ვარემოება ჩვენის მხრით გამოწვევად ჩასთვალესო.

ნემეცურს ვაჭრებზე ჩივილს დღესაც ამოკითხავთ რუსულს ვაჭრებში. მართალია შესამჩნევი ნდობა რუსულს ვაჭრებს არასოდეს არ ჰქონიათ ნემეცურის ვაჭრებისა, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევათა წყალობით მაინც ერთობ ვაჭრებდა ეს უნდობლობა. რუსეთის დასავლეთ (ოსტების) საზღვრის ნემეცური ვაჭრები მუდამ იმას იწერებინან, რომ უმთავრესს დაცვას, გამაგრებას რიგის ყურე საჭიროებსო. თუ მტერს აქ დაბრკოლება არ დაუხვდა და დაიჭირა რამდენიმე კუნძული ამ ყურეში, შემდეგ ძლიერ გაუადვილდება საქმის წაყვანა შინლიანდის ყურეშიც, რადგან დაჭერილი კუნძულები ქვანახშირს უხვად მიაშველებენ მტრის სამხარს გემებს. მაგრამაო, ამბობს **Новости**, ამ შემთხვევაში ნემეცურს ვაჭრებს ჩვენი სარგებლობა როდი აქვთ სახეშიო; ვანა ბერლინშიაც ასეთის დიპლომატიურის ტაქტით არ იწერებინან ნემეცური ვაჭრებიო. ბერლინის ვაჭრები საკუთარს ქვეყნის ინტერესებისათვის ზრუნავენ: ბალტიის ზღვის ნაპირა ნავთ-საყურებს კარგი არ მოეღისო, თუ რუს-ინგლისის შუა ომი ასტყდა და ეს არის მიზეზიო, რომ ნემეცური ვაჭრები გვირჩევენ ამ ნავთ საყურების გამაგრებას.

მს და ბევრი ამ გვარი ვაჭრები გერმანიის ვაჭრებისა მუდამ სახეში უნდა ვიქონიოთ ჩვენაო—განაგრძობს **Новости**. აქედამვე უნდა ვიცოდეთ—რაკი ინგლისს შეეცაქებით—ყოველის მხრით მზად უნდა ვიყვეთ, როგორც შორეულს აღმოსავლეთზე, აგრეთვე დასავლეთზე და სამხრეთ-დასავლეთზე. მს ადელი საქმე არ არის, ეს უნდა გვახსოვდეს და მოუშვადებელი არ დავუხვდეთ იმით, რომელნიც დაჩვეულან რუსეთის ხარჯზე საკუთარს მატერიალურის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მსლა ლაპარაკობენ რაღაც დახმარებაზედ(!) სამსახურის ვაწვევად მით, რომ მსმალეთს არ ვაგაშვებინებთ ინგლისის ხომალდებსაო შავს-ზღვაში და ბალტიის ზღვის ნავთ-საყურების შემოზღუდვას ინგლისის ხომალდებისაგან წინააღმდეგობითო...

შემდეგ ვაჭრები განაგრძობს: „ქმე მარტებდა ერთი მოსკოველი ვაჭრის ბერლინელი კორესპონდენტისაგან ნათქვამი სიტყვები, რომ ბერლინში

ყოველი წარმატება რუსეთისა, ყოველი ახალი რეფორმა გულზე ადგებათ მასკვირი. აქ არა არის რა, რადგან ბერლინისათვის სასურველი იქმნებოდა იმ გვარადვე სუსტად დახვედრიყავით ჩვენ მოსალოდნელს ომს, როგორც შირიმის ომს დახვედით.

◆◆ შავი ზღვისა არ იყო, ბალტიის ზღვაზედაც ატყდა ამ ჟამად ბაასი ევროპისა და რუსული ვაჭრების შორის. ამ საგნის გამო ნემეც. ვაჭ. **National Zeitung**-ი ეფუძნება ხალხთა-შორებრივს ტრაქტატს და ამბობს: „მოთხოვნა იმისი, რომ რუსეთის მეზობლებმა არ შეუშვან ინგლისის სამხარო გემები ბალტიის ზღვაში,— შეუძლებელია. ბალტიის ზღვა არ წარმოადგენს „დაკეტილს ზღვას“, იგი მხოლოდ მონაპირე სახელმწიფოთ არ ეკუთვნის; ამ გვარ ზღვად შეიძლება ჩაითვალოს საშუალო ზღვა, მაგალითად მასპიისა, რომელიც ბუნებრივს გზით არ უერთდება ოკეანეს. ბალტიის ზღვა და ყველა მასში შემავალი გზები ჩრდილოეთის ზღვის მხრით საერთო მფლობელობად უნდა ითვლებოდენ ყოველს ჟამს.“

◆◆ „Standard“-ი იწერება, რომ რუს-ინგლისის შუა მოლაპარაკებაში არა-სახუმრო დაბრკოლებათა იჩინეს თავიო. ინგლისის მმართველობამ მოითხოვა, რომ რუსეთი, ახლის საზღვრის გაყვანის შემდეგ, არასფრის გულისათვის არ გადასცილდეს ამ საზღვარს. ლონდონის კაბინეტმა განაცხადა, რომ ამ გვარის პირობის დადება აუცილებელად საჭიროა მშვიდობიანობის დაცვისათვის; რუსის მმართველობა თუმცა მზაა ყოველ გვარი ძალ-ღონე იხმაროს მშვიდობიანობისათვის, მაგრამ ხსენებულს პირობას კი ვერ მიიღებს, რადგან ამ პირობის მოთხოვა ინგლისისაგან იმას მოწმობს, რომ ინგლისი არ ენდობა მისს გულ-კეთილობას. ჰფიქრობენ, მალე უშველონ ამ უთანხმოებასაც, თუმცა რუსეთი მტკიცედ სდგას თავისაზე.

◆◆ „Daily News“-ის სიტყვით მინისტრთა რჩევაში (აპრილის 8—20-ს) ბაასი ამტყდარა მზად, თუ როგორ აღადგინონ მეგობრული დამოკიდებულება ინგლისისა და საფრანგეთის შორის. ამ სახელმწიფოთა შორის მცირე უკმაყოფილება გამოიწვია მგვიტეში ფრანკო-რუსული ვაჭ. „Bosphore Egyptien“-ის დახურვამ ინგლისის დღევგატის თხოვნით, რადგან ამ ვაჭრებმა დაბეჭდა მასპის პროკლამაციაო.

◆◆ „Journal des Debats“-ში დაბეჭდილია ფრცველი წერილი რუს-ინგლისის შუა ამტყდარს დახვევ; წერილი იცავს მსმალეთის უფლებას, რომლის ძალითაც ამ სახელმწიფოს ნება აქვსო ღარდანელში გაუშვას ინგლისის სამხარო ხომალდები. როდესაც 1871 წელს, რუსეთის მოთხოვნით, გაუქმებულ იქმნა შავი ზღვის ნეიტრალური მდგომარეობაო, მსმალეთს

ღარა უფლება—გაუშვას ან არ გაუშვას სამხარო ხომალდები სხვა სახელმწიფოთა ღარდანელსა და ბოსფორზე, როგორც მსმალეთის მთავრობა საჭიროდ დაინახავს ამას პარიჟის ხელშეკრულობის კვალობაზედ.

◆◆ „ჰავისის სააგენტოს“ ტელეგრამით აცნობებენ ლონდონიდან, რომ იქ ამ უკანასკნელ ხანებში უფრო მცირე იმედია მშვიდობიანობის დაცვისათვის. მს მით ახსენებოა, რომ რუსეთმა უარი განაცხადა თვისი ვაჭრების უკან დაწევაზედ, და უმეტესად ამ უიმედობის მიზეზი გენ. ლემსდენისა და კომაროვის მოხსენებათა სხვა-და-სხვა-ფერობა არისო. მს სხვა-და-სხვა-ფერობა ღროით შეაჩერებს ოფიციალურს მოლაპარაკებას საზღვრის საქმისას, რომელიც უცვლელად რჩება ვერ-ჯერობით. ინგლისის მმართველობას დაწერილებით მსურს განარკვიოს მარტის 18-ს მომხდარი ამბავი და აღსნას, თუ ვის დაედვას ბრალი ამ დღეს მომხდარის შეტაკებისათვისაო. რუსეთი-კი, თავის მხრით, ამტკიცებს, რომ ეს საგანი საკმაოდ განმარტებულია და ეს განმარტებანი სრულს სიმართლეს ანიჭებენ მას (რუსეთს). ამ გვარი შეუთანხმებლობა აზრებისა, ცხადია, ახალს დაბრკოლებათ გამოიწვევსო.

◆◆ Times-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა მეშენილამ გაგზავნილი მარტის 8—(20-ს): „რუსები ამ ჟამად აღ-საფაში არიან. ბენერალი კომაროვი ვაგმგზავრა სერაზს და პოლკოვნიკი პლიხანოვი იოლათანს. ადენელი მოუთმენლად მოეღიან განმარტებას, თუ რა გვარს პოლიტიკას დაადგება ბრიტანიის მმართველობა. მს პოლიტიკაო, როგორც ერთს ჰერთელს უთქვამს ამ ჟამად „არც წინ მიდის, მაგრამ არც გაჩერებულია ერთ ალაგას“.

◆◆ მარსელიდან სწერენ **Daily News**-ს: „რუსის გემი „გენერალ-ადმირალი“, რომელზედაც იყოფება რუსის საშუალო-აზიის ესკადრის სარდალი, ნეპოლიდამ ტულონში მივიდა; გუშინ რუსის ადმირალს ეწვია საფრანგეთის ადმირალი; ამითის შეხვედრის დროს მუსიკა „მარსელიეზას“ უკრავდა. რუსის ვაგშინანი ხომალდი, რომლის რაზმი 500 მეომარისაგან შესდგება, შეიარაღებულია ექვსის დიდი კრუპის ზარბაზნით და რამდენიმე მცირე ზარბაზნით. რუსის ესკადრამ მიიღო ბრძანება საფრანგეთის გარშემო ნაპირებს უაროს.

◆◆ **Daily News**-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური შენიშვნა: „ლონდონიდან გაღიან სხვა-და-სხვა ხმები, რომელნიც ინგლისის მმართველობის აზრად მიჩნიათ და სხვა სატანტო ქალაქებში იღებენ ლონდონის ვაჭრები ტელეგრამებს, რომელნიც იბეჭდებიან, როგორც საზოგადო აზრის გამომხატველნი. მს ცნობები აჯერებენ საზოგადოებას თითქოს ბრიტანიის



ბარსკი 11—12 საათამდე სიფილისის და სსუელსე გამყრელი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და შარსკეკობით 9—10 საათამდე ხარუგოული ავადმყოფობისათვის; ხამინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებად; გრასნოვლიაძე ორშაბათობით და შარსკეკობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ცოლქსონი კბილის ტკივილის საწამლებად მიიღებს თავის სასწაილს უოკელთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდახელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შურა რუსეთის ფუჭილისა — —1 გ. 5 კ.
 აჭარის ფუჭილისა: შირკელის ხარისხისა — —1 გ. 2 1/2
 შერისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფუჭილისა თორნები გამომცხვარი:

შირკელი ხარისხის —1 გ. 4 1/2
 შერისა — — —1 გ. 3 კ.
 მესამისა — — —1 გ. 2 1/2

ჯვარის-მაძის შური:
 შირკელის ხარის. ღავაში 1 გ. 4 1/2
 შერის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2
 მესამისა — — —1 გ. 3 კ.

მროსის ხორცი:

შირკელის ხარისხისა —1 გ. 9 კ.
 შერისა — — —1 გ. 8 კ.
 სუგა — — —1 გ. 16 კ.
 ცხვრის ხორცი — —1 გ. 10 კ.

ღორის ხორცი:
 შირკელის ხარისხისა 1 გ.
 შერისა — — —1 — გ.

რაინის ზვა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობითსაქ. რა. 10 ს. 58 წ. დამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.
 ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.
 ფოთიდან და ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო ხაშურამდინ
 თბილისში შემოდის 8 საათზე დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის
 თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შარსკეკობით საქ. რა. 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადება

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელისმომწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანსე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ცხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. შსი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანისა, იქნება რვა მანათი-დამ ამ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანვე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეტყობინოს მისი მხრივ. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამომცემელი
 (25—11) გ. ქართველი შვილი.

თბილისის სათავადაზნაურო სამოსლის კომიტეტი

საზოგადოების წესდების მე 7 § თანახმად ნიშნავს საზოგადო კრებას აპრილის 25-სათვის, დილის 10 საათზე სკოლის სადგურში, ნიკოლოზის ქუჩაზედ ჩითახოვას სასწაში.

საზოგადო კრების წვერებად, წესდების ძალით, ითვლებიან წვერნი დაძარსებულნი თბილისის საადგილ-მამულა ბანკისა, აგრეთვე შინის, რომელთაც სკოლის სასარგებლოდ წელიწადში სამაძან. მაინც შემოაქვთ

კრებისგან გასასილველი საგნები:
 ა) ანგარიში კომიტეტის მოქმედების სკოლის შესახვის შესახებ.
 ბ) არჩევა თავს-მჯდომარის ამსახვისა და კანდიდატისა კომიტეტის წევრად თავ-მჯდომარე კომიტეტისა
 (4—2) გ. მამაცაშვილი.

ისყიდება

სახლი ვენახით და ბაღით — 20 დესეტ. სასწავ. მიწა, ბანკის კაღის ამ მამულსე 1400 მანათამდე. მამული არის გორის მხრის სოფ. შატრა თამარ-შენში, სადაც მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ წერილითაც ტყვერად შატრისას, გომის სტანციით. (5—4)

თბილისის ძალაქის გაგზავნა

ამით აცხადებს, რომ ამა აპრილის 25-ს, შუადღისას, ვეფხის-ტყაოსანსე გამოცხადებულ იქნება ვაქრობა მიწისა და ქვის სამუშევარის ვეფხის-ტყაოსანსე: ა) ვეფხის-ტყაოსანსე პაღის-მამულისათვის; სამარკელის ტყაოსანსე და ბ) სამარკელის და ცოკოლას ტყაოსანსე ვერსა და დეკამანოვის მამულსე (რეფ. წე). ვაქრობის მსურველთ პირობანი ყოველ დღე შეუძლიანთ გაიგონ დილის 10-დამ ნაშუადღევს 2-სათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—3)

Приготовляются къ печати и выйдутъ въ свѣтъ двѣ книги:

СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ

Михаила Николаевича
 ВОРОНОВА

ВЪ СТИХАХЪ И ПРОЗѢ

(СЪ ФОТО-ЛИТОГРАФИРОВАННЫМЪ ПОРТРЕТОМЪ АВТОРА)

и большой интересный исторический романъ

„РЕНЕГАТЪ“

изъ времяя Карла Мартеля

Первая изъ названныхъ книгъ, то есть **Собрание Сочинений Воронова** будетъ отпечатана на роскошной атласистой бумагѣ и, кромѣ того, каждый экземпляръ будетъ въ коленкоровомъ, малиноваго или синяго цвѣта, переплетѣ, съ золотымъ тисненіемъ на корешкѣ и крышкахъ и съ золотымъ обрѣзомъ.

Вторая книга, то есть романъ **Ренегатъ** принадлежитъ къ числу замѣчательнѣйшихъ произведеній литературы. Появленіе его произвело громадный фуроръ и доказательствомъ того, на сколько онъ интересенъ, служить то, что **Ренегатъ** переведенъ на языки: Англійскій, Нѣмецкій, Испанскій и Голландскій. Вслѣдствіе этого, г. Вороновъ льститъ себя надеждою, что русское общество отнесется къ **Ренегату** съ такимъ же восторгомъ, съ какимъ отнеслись къ нему другіе образованные народы.

Романъ **Ренегатъ**, хотя будетъ отпечатанъ не такъ роскошно какъ сочиненія Воронова, однакоже на хорошей плотной бумагѣ и каждый экземпляръ его будетъ въ красивомъ шагреновомъ переплетѣ.

Хотя Г. Вороновъ не можетъ, въ данное время, обозначить съ точностью срокъ выхода своихъ сочиненій и романа **Ренегатъ**, тѣмъ не менѣе онъ проситъ лицъ, желающихъ имѣть названныя книги не медлить своими требованіями.

Цѣна обѣимъ книгамъ, по выходѣ ихъ въ свѣтъ, будетъ **СЕМЬ РУБЛЕЙ**. Приславшіе же деньги до выхода платятъ только **ПЯТЬ РУБЛЕЙ** и, кромѣ того, имъ будутъ высланы, въ видѣ преміи, нѣсколько хорошихъ рассказовъ.

ПРИМѢЧАНІЕ.

Московскіе и провинціальныя книжныя магазины и библіотеки для чтенія, желающіе принимать подписку на выше названныя книги, пользуются 20% за комиссію, благоволятъ заявить объ этомъ Г. Воронову для того, чтобы имъ могло бы быть выслано подробное объявленіе, наклеенное на картонъ.

Обращаться по слѣдующему адресу: Москва, Тверская, д. Фальц-Фейна, М. Н. Воронову. (3—2)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მალაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მალაზია იმყოფება ბულგარის პირდაპირ საკუთარ შენობაში. (14—9)

ქ. ვორში

ივ. ბარამოვის მალაზიაში იყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მალაზიაში

რუსულს ენაზედ

САБА ОРВЕЛИАНИ

И

ЕГО ГРУЗИНСКІЙ ЛЕКСИКОНЪ

Критическій очеркъ

Николая Гамрекели

Цѣна 25 коп.

ამ დღეებშივე გამოვა გასასყიდალ ძველი პოემა

„ალაზიანი“

თხზ. თამარ მეფის ქმრის დავით

სოსლანისა გამ. ნ. ბამრეკელისა ფასი ექვსი შური. (3—3)